ჩვენ უნდა ჩვენი ვუვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 257 (21003). სამშაბათი, 6 ნოემბერი, 1990 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია 1990 წლის 14 ნოემბერს 10 საათზე ქ. თბილისში.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვპრაცხელია.

თბილისი. 1990 წლის 5 ნოემბერი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში

5 ნოემბერს გაიმართა საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე. სხდომამ განიხილა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესიის ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხები.

გადაწყდა, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნეს 1990 წლის 14 ნოემბერს დილის 10 საათზე ქ. თბილისში.

პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეიქმნა სესიის მოსამზადებელი სხვადასხვა მიმართულების საკონსულტაციო ჯგუფები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ახლად არჩეული დეპუტატები.

სხდომაზე განიხილეს სხვა საკითხებიც.

სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჭითანავა, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, პრესისა და ტელევიზიის მუშაკები.

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრესცენტრი.

დეპუტატები საქართველოს კომპარტიისაგან

ცნობა

რობერც ცნობილია, საქართველოში გაიმართა რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები. ორ მილიონზე მეტი ამომრჩეველი მონაწილეობდა ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაში. თერთმეტი პოლიტიკური პარტიიდან და ბლოკიდან, რომლებიც არჩევნებში პროპორციული სისტემით მონაწილეობდნენ, ახალ პარლამენტში პარტიული სიებით თავიანთი წარმომადგენლების დელეგირების უფლება მოიპოვეს „მრგვალი მაგიდის — თავისუფალი საქართველოს“ ბლოკმა და საქართველოს კომპარტიამ. რაც შეეხება მაჟორიტარულ სისტემას, ჯერჯერობით 125 საარჩევნო ოლქიდან დეპუტატები არჩეული არიან მხოლოდ 57 ოლქში. იმ კანდიდატთა შორის, რომლებიც პიროვნულად იყრიდნენ კენჭს, დეპუტატები გახდნენ ხუთი საარჩევნო ბლოკისა და საარჩევნო პარტიის წარმომადგენლები და ოთხი დამოუკიდებელი კანდიდატი.

უახლოეს კვირა დღეს გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა და არჩევნების მეორე ტური იმ ოლქებში, სადაც ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების ნახევარზე მეტი ან არჩევნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები მონაწილეობდა.

მაგრამ უკვე ცნობილია, რომ საქართველოში პრაქტიკულად ყოველმა მესამე ამომრჩეველმა არჩევნებში მხარი დაუჭირა კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებს. ამრიგად, ხალხის ნების საყოველთაო გამოვლენის შედეგად ახალ პარლამენტში სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციებისაგან არჩეულ დეპუტატებთან ერთად წარმოდგენილია საქართველოს კომპარტიისაგან 61 დეპუტატი, აგრეთვე ოთხი დაშოუკიდებელი დეპუტატი, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ნევრები არიან.

ამ ფაქტმა ერთხელ კიდევ დადასტურა, რომ რესპუბლიკის ყველა რეგიონში ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ნაწილი დიდად ენდობა და პატივს სცემს საქართველოს განახლებულ კომპარტიას, მის საარჩევნო პროგრამას. ხმა მისცეს რა კომპარტიისაგან დეპუტატობის კანდიდატებს, ამით მათ ხმა მისცეს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ აღორძინებას, მისი სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, სამოქალაქო მშვიდობას, შინაეროვნულ და ეროვნებათშორის თანხმობას, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების უზენაესობას, საკუთარი მომავლის, საკუთარი ოჯახისა და მთლიანად რესპუბლიკის მომავლის რწმენას.

საქართველოს კომპარტიისაგან პარლამენტის დეპუტატთა შორის ათობით ღირსეული ადამიანია, რომლებსაც პატივს სცემენ და რომლებიც პოპულარულნი არიან რესპუბლიკაში; ისინი თავიანთი შრომით, შემოქმედებით და მოქალაქეობრივი პოზიციით ყოველნაირად უნყობენ ხელს რესპუბლიკის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, მისი ნათელი მომავლის უზრუნველყოფას.

კომპარტიის დეპუტატთა ჯგუფუში არიან პოლიტიკური მოღვაწეები და შემოქმედი ინტელიგენცია, მეცნიერები, ინჟინრები, მუშები, მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები. ნახევარზე მეტი საქართველოს მეცნიერი და შემოქმედი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელია.

დეპუტატის მანდატები აქვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გივი გუმბარიძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს ანდრია აფაქიძეს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლევან ალექსიძეს, ა. ნათიშვილის სახელობის ფსიქიატრიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ნინო ჯავახიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს როინ მეტრეველს, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრის მთავარ რეჟისორს, საქართველოს სახალხო არტისტს გიორგი ქავთარაძეს, საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლევან ჭილაშვილს, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორს, პროფესორ აპოლონ სილაგაძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორ მზექალა შანიძეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თამარ დეკანოსიძეს, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის [illegible] ალექსანდრე ბერაძეს, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორს, რესპუბლიკის აკადემიის აკადემიკოსს რევაზ სალუქვაძეს, ელექტროვაგონსაშენებელი ქარხნის მუშას გივი გაჩიჩილაძეს, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ეთერ გუგუშვილს, მართვის სისტემათა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მინდია უგრეხელიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაჟა გურგენიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი მუშაკი ლოვარდ ტუხაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბონდო ჯიქია, ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არჩილ კოსტავა, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბაკურ გულუა, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი დემურ დვალიშვილი, ჟურნალ „სახელმწიფო და სამართლის“ მთავარი რედაქტორი თეიმურაზ ნინიძე, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი თენგიზ ხახვა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი აკაკი ძიძიგური და სხვანი.

ჩვენი საზოგადოებრიობა ჩინებულად იცნობს თითოეულ მათგანს, იმ მოღვაწეობას, რომელმაც მათ დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა მოუხვეჭა არა მარტო როგორც მეცნიერებსა და მწერლებს, რეჟისორებსა და მუშებს — თავიანთი საქმის დახვეწილ პროფესიონალებს, არამედ აგრეთვე თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებსა და რესპუბლიკის ღირსეულ მოქალაქეებს.

ამ დღეებში პარტიულ პრესაში დაიბეჭდება კომპარტიისაგან დეპუტატებზე უფრო დაწვრილებითი ინფორმაცია, მკითხველები გაეცნობიან მათს პოლიტიკურ შეხედულებებსა და სამომავლო მოქმედების პროგრამებს.

ამასთანავე, არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობას კიდევ ორმოცზე მეტი დეპუტატობის კანდიდატი მიიღებს საქართველოს კომპარტიისაგან. მათ შორის არიან ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი გურამ ხარატიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ანტონ ინგოროყვა „გაზეთ „ხორურდაინ ვრასტანის“ რედაქტორი ვან ბაიბურტი, აგროკომბინატ „გარდაბნის“ დირექტორი ნუგზარ მამალაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე კონსტანტინე ჯაპანაძე, გაზეთ „სოვეტ გურჯისტანის“ რედაქტორი სულეიმან სულეიმანოვი, კარდენახის მეურნეობა-ქარხნის დირექტორი თემურ გულიაშვილი, რესპუბლიკის პროკურორის პირველი მოადგილე ალექსანდრე შუშანაშვილი, „ჭიათურმანგანუმის“ საწარმო გაერთიანების გენერალური დირექტორი ვალტერ ხუხუნაიშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი დავით ტვილდიანი, გალის № 50 პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორი რაფდენ ქარდავა, ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის დირექტორი თეიმურაზ კომახიძე, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ჟიული შარტავა, საქართველოს კომპარტიის მთელი რიგი რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნები და სხვანი.

წარმატებას ვუსურვებთ ყველას თერთმეტ ნოემბერს!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრი.

ფესვენებისას. ივანე შამანაძის ფოტო.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის მიმართვა

საქართველოს მშრომელებისადმი

რთული, გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მდგომარეობაა დღეს საქართველოში. ათეული წლების განმავლობაში საზოგადოების რეგრესულმა განვითარებამ, ცენტრის განუკითხავმა დიქტატმა დააკნინეს რესპუბლიკის ეკონომიკა.

საქართველოს ხელისუფლებისა და მართვის განახლებულ უმაღლეს ორგანოებს ორმა კრიზისულ პირობებში მოუწევთ საქმიანობის დაწყება. დაძაბულია პოლიტიკური ვითარება, მრავალი მიზეზის გამო თავი იჩინა მთელმა რიგმა სოციალურმა პრობლემებმა, უმეტესი მათგანი დღითი დღე მწვავდება.

გადაულახავი სიძნელეები შექმნა მოსახლეობის სურსათით, პირველი მოხთოვნილების საგნებით დაკმაყოფილების საქმეში, მრავალი ოჯახის ბიუჯეტი შეარყია ფასების მატებამ საკოლმეურნეო ბაზრებში, სახელმწიფო სასურსათო და სამრეწველო საქონელზე, ამას თან ერთვის საწვავით მომარაგებისა და რეალიზაციის ორგანიზაციაში შექმნილი ქაოსი.

საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის გამგეობა, აფასებს რა შექმნილ საზოგადოებრივ პოლიტიკურ სიტუაციას, მიმართავს საქართველოს მშრომელებს, მიუხედავად მათი ეროვნების, სოციალური მდგომარეობის, პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებებისა:

— თავიანთი საქმიანობის უბანზე განამტკიცონ საქართველოში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი მონაპოვარი — ხელისუფლების ორგანოს ხალხის რეალური ნებით არჩევა;

— არ დაუშვან თანამოსაქმის, ხელმძღვანელ მუშაკთა ინერტულობა ყოველდღიური თუ გლობალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში;

— ყველა დონის მმართველობითი და სამეურნეო ორგანოების საბოლოო ფორმირებამდე თავიანთ მოქალაქეობრივ კონტროლს დაუქვემდებარონ მათ მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეხება მშრომელთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებს;

— არ დაუშვან თავიანთი სოციალური ინტერესების დასაცავად პროტესტის ისეთი ფორმების გამოყენება, რომლებიც შექმნის რესპუბლიკაში მდგომარეობის დესტაბილიზაციას, რამეთუ შათი გადაჭრა შესაძლებელი გახდება მხოლოდ ახალი ხელისუფლების ორგანოს საბოლოოდ ჩამოყალიბებისა და მისთვის საქმიანობის ნორმალური პირობების შექმნის შემთხვევაში;

— ყოველგვარი პირადი მოსაზრების მიუხედავად, არ დაუშვან ხალხთა შორის დაპირისპირება ეროვნულ ნიადაგზე ან პოლიტიკური შეხედულებების სხვაობათა მიზეზით.

თავის მხრივ, საქართველოსათვის ამ მეტად რთულ ვითარებაში დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის გამგეობა გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად იბრძოლოს ნებისმიერი წამოჭრილი პრობლემის მოგვარებისათვის არა მოთხოვნების წამოყენებით ხელისუფლების წინაშე, არამედ მასთან ერთად კონსტრუქციული თანამშრომლობის საფუძველზე.

ნებისმიერი აქცია, რომელიც გამოიწვევს პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობის დესტაბილიზაციას, მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც საქართველოს პოლიტიკური ინტერესების შემლახველი, და მკაცრად დაიგმოს.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ყრილობა

შაბათს, 3 ნოემბერს, საქართველს დედაქალაქში გაიმართა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მეორე ყრილობა. მან განიხილა ახლანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პირობებში ამ ორგანიზაციის სტატუსთან და საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები.

ყრილობის გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ შეიძინა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსი. შეიქმნა კომისია, რომელმაც უნდა დაიწყოს მუშაობა საზოგადოების ახალი წესდებისა და პროგრამის პროექტების შედგენისათვის. მათ შემდეგ განიხილავენ პირველადს ორგანიზაციებში.

ყრილობაზე განიხილეს ორგანიზაციული საკითხები. დაკმაყოფილდა კაკაი ბაქრაძის თხოვნა გაეთავისუფლებინათ იგი სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის მოვალეობისაგან. იგი არჩეულია ამ საზოგადოების საპატიო პრეზიდენტად.

სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტად ყრილობაზე აირჩიეს თენგიზ სიგუა, რომელიც წინათ ასრულებდა ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას.

ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია:

„სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების მეორე ყრილობა მიესალმება ეროვნული მოძრაობის—„მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ ბლოკის გამარჯვებას საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში და მოუწოდებს რესპუბლიკის ყოველ მკვიდრს, ქართველსა და არაქართველს, მხარი დაუჭიროს ახალ პარლამენტს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ახალარჩეულ პარლამენტში გამარჯვება მთელი ეროვნული მოძრაობის თავდადებული მოღვაწეობის შედეგია და ამიტომაც, დღეს საჭიროა, ყველა „დამარცხებული“,ასევე ღირსეული დეპუტატობის კანდიდატი მამულიშვილურად გვერდით დაუდგეს ახლად არჩეულ პარლამენტს და მასთან ერთად გასწიოს საქართველოს მომავლის უმძიმესი ჯაპანი. მით უმეტეს,რომ კარზეა მომდგარი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებიც.

ამჯერად, მართლაც, საქმე საქმეზე მიდგა. იწყება ყველაზე რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე, ძმიმე პერიოდი, რომლის გავლაც, ეროვნულ ძალთა გაერთიანების თვინიერ, შეუძლებელია.

რუსთაველის საზოგადოებას მიაჩნია, რომ საქართველოში მცხოვრები ყოველი ჭეშმარიტი მოქალაქის მოვალეობაა, იბრძოლოს პოლიტიკური ძალების გამთლიანებისა და თანხმობის მისაღწევად, ამაღლდეს ვიწროპარტიულ ინტერესებზე, დაივიწყოს ძველი „წყენანი“ და იყოს თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს აქტიური მესაძირკვლე!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

საინფორმაციო სააგენტო საქართველო

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

დამოუკიდებელ დეპუტატობის კანდიდატებს ვთხოვთ, არა უგვიანეს 7 ნოემბრის 12 საათისა, წარმოადგინონ ტელევიზიით ხუთწუთიანი გამოსვლების გასაცხადები.

კანდიდატების გამოსვლა დაგეგმილია 8-9 ნოემბერს, 19 საათიდან.

დაუსაბუთებელი კასუხები

და დაუმთავრებელი ჩივილი

ნ. ბრეგვაძეს ყველა ორგანომ თითქმის ერთხაირად მისწერა, რომ თქვენი მოთხოვნა უსაფუძვლოა. არგუმენტი?

1939 წლის ინვენტარიზაციით, მომჩივანის მოპირისპირე მხარის ვ. ბერაძის სასარგებლო მიწის ნაკვეთი 1164 კვადრატულ მეტრად აღირიცხებაო. „მეტი რაღა მტკიცება უნდა უნდოდეს ნ. ბრეგვაძეს“ — ფიქრობდნენ ალბათ მოპასუხენი.

მომჩივანი კი ყარიდან ყარს, ოთახიდან ოთახში, მუშაკიდან მუშაკთან, „აფრიალებს ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივიდან თავისივე ინიციატივით მიკვლეულ დოკუმენტს — ნოტარიალურად დამტკიცებულ ნასყიდობის გარიგებას, რომელშიც შავით თეთრზე სწერია, რომ არხის (ამჟამად კოსმონავტების) ქუჩის № 42 (ამჟამად № 66) საცხოვრებელი სახლის მფლობელის ანა ჭეიშვილის (ამჟამად ვახტანგ ბერაძის) სასარგებლო მიწის ნაკვეთი დაახლოებით შეადგენს ორას ოთხკუთხა საჟენს (ენციკლოპედიური გაანგარიშებით 870 კვადრატულ მეტრს).

საიდან გაჩნდა ვ. ბერაძის (ანა ჭეიშვილის დანატოვარი ქონების ამჟამინდელი მფლობელის) სარგებლობაში მიწის დამატებითი ფართობი 294 კვ მეტრი?

ეს კითხვა ნ. ბრეგვაძესაც და ყველა ჭკუთამყოფელსაც დაებადებოდა. რას პასუხობენ? იმას, რაც ზემოთ აღვნიშნეთ 1939 წლის ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით. კი, მაგრამ, მიწა ხომ სახელმწიფო საკუთრება იყო და დღესაც ჯერჯერობით ასეა?

და რაკი ასეა, ამ სახელმწიფო მიწის გასხვისების უფლება ვის ჰქონდა, სახელმწიფო ორგანოს გარდა?

არავის!

ქუთაისში კი, მაშინაც და ახლაც, სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანო, რომლის უფლებამოსილებაშ შედის მიწების ჩამორთმევა-გასხვისება, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭო და მისი აღმასკომია. 1929 წლიდან, როცა ნასყიდობის გარიგებით ვ. ბერაძის მიწის ნაკვეთი 870 კვ. მეტრს შეადგენდა) 1939 წლამდე (როცა ჩატარდა მიწების ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით. კი, მაგრამ, მიწა ხომ სახელმწიფო საკუთრება იყო და დღეს ეს ჯერჯერობით ასეა?

ამ მომენტში ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბრეგვაძის განცხადების განხილვა მიჩნეულ იქნას მიზანშეუწონლადო (?!).

ამასკომმა გამოუკეტა კარი ნ. ბრეგვაძეს, მეტად აღარ ზომაკითხოო. ყველა სხვა საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხებიც ამას ნიშნავდა. იქნებ შენ მიზველოო, „კომუნისტო“, მიმართთ გაზეთს იმ დროს, როც კომუნისტებისა ბეგრს აღარ სჯერა.

ნ. ბრეგვაძეს კი სჯერა.

ამ მომგებიანი ქონების გამო, მომჩივანისათვის მხარის დაჭერა სწორი არ [illegible]ნდოდა. მაგრამ იგი მხარდამჭერას [illegible] ილად იმსახურებს.

რატომ?

მივყვეთ საქმის მსვლელობას.

მდგომარეობა ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ბრეგვაძის განცხადების განხილვა მიჩნეულ იქნას მიზანშეუწონლადო (?!).

ამასკომმა გამოუკეტა კარი ნ. ბრეგვაძეს, მეტად აღარ ზომაკითხოო. ყველა სხვა საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების პასუხებიც ამას ნიშნავდა. იქნებ შენ მიზველოო, „კომუნისტო“, მიმართთ გაზეთს იმ დროს, როც კომუნისტებისა ბეგრს აღარ სჯერა.

ნ. ბრეგვაძეს კი სჯერა.

ამ მომგებიანი ქონების გამო, მომჩივანისათვის მხარის დაჭერა სწორი არ [illegible]ნდოდა. მაგრამ იგი მხარდამჭერას [illegible] ილად იმსახურებს.

რატომ?

მივყვეთ საქმის მსვლელობას.

ბატონ ეკემონელ ალექსიძეს, ა. ნათიშვილის სახელობის ფსიქიატრიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ნინო ჯავახიშვილს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს როინ მეტრეველს, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის ქართული თეატრის მთავარ რეჟისორს, საქართველოს სახალხო არტისტს გიორგი ქავთარაძეს, საქართველოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ლევან ჭილაშვილს, გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორს, პროფესორ აპოლონ სილაგაძეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის განყოფილების გამგეს, პროფესორ მზექალა შანიძეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს თამარ დეკანოსიძეს, რუსთაველის მეტალურგიული ქარხნის [illegible] ალექსანდრე ბერაძეს, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორს, რესპუბლიკის აკადემიის აკადემიკოსს რევაზ სალუქვაძეს, ელექტროვაგონსაშენებელი ქარხნის მუშას გივი გაჩიჩილაძეს, რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის რექტორს, პროფესორ ეთერ გუგუშვილს, მართვის სისტემათა ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს მინდია სალუქვაძეს.

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნების პირველ ტურში არჩეულ დეპუტატთა შორის არიან რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჭითანავა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული კვლევის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ალექსანდრე პავშენცევი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი მინდია უგრეხელიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვაჟა გურგენიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნამყვანი მეცნიერი მუშაკი ლოვარდ ტუხაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბონდო ჯიქია, ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი არჩილ კოსტავა, საქართველოს სახალხო დეპუტატთა ჯგუფის ნევრი, ეროვნული ინიციატივის ლიდერი ანზორ ადამია, ეროვნული ინიციატივის ნევრ-ლიდერ ალეკო ალექსიძე

მივხედოთ სოფელს

საქართველოს სოციოლოგთა მიმართვა ფართო საზოგადოებრიობისადმი

საქართველოს სოციოლოგიური ასოციაცია და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრა მოგმართავთ სამეცნიერო ინსტიტუტების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქართველოს ინტელიგენციის წარმომადგენლებს, პრესისა და ტელევიზიის მუშაკებს, მთელ მოსახლეობას გვაერთიანოთ ჩვენი ძალისხმევა საქართველოს სასოფლო განსახლების ვითარების, მკვდარი სოფლების, კრიზისულ ვითარებაში მყოფი დასახლებული პუნქტების მთელი საქართველოს ეკოლოგიური სიტუაციის შესასწავლად.

საჭიროა შეკქმნათ რეგიონებისა და რეგიონებში რაიონების მიხედვით სოფელთა რეალური ვითარების ამსახველი რუკები, ეს დაგეგმარება სამომავლოდ შესაძლო რურალიზაციის განხორციელებაში, დავადგენთ საქართველოს სოფლებიდან მიგრაციის სურათს, მიგრაციათა სახეობებისა და მიგრანტთა მიმზიდველი ცენტრების მითითებით, ვუჩვენებთ მიგრაციის მიზეზებს, აგრეთვე იმ რეგიონთა უპირატესობას, რომლებიც ინტენსიური მიგრაციის ტენდენციებს არ ეჩვენმდებარებიან, შევისწავლით საქართველოს სოფლების სტრუქტურას ეროვნების მიხედვით, სოფლებში სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ქსელის განლაგებას, სოფლების ტრანსპორტით, სასმელი წყლით, საყოფაცხოვრებო ობიექტებით უზრუნველყოფის მდგომარეობას. ამით საფუძველი ჩაეყრება საქართველოს სოფლების კომპლექსურ შესწავლას.

აღნიშნულთან ერთად აუცილებლად მიგვაჩნია საქართველოს რეგიონებისა და რაიონების მიხედვით ეკოლოგიური ვითარების შესწავლა, რის საფუძველზეც უნდა შედგეს საქართველოს ეკოლოგიური რუკა, რომელიც გამოხატავს სიტუაციის კრიზისული ფეთქებადი ვითარებით დაწყებული და ნორმალურით დამთავრებული. ასეთი რუკა მრავალ სახელმწიფოს აქვს შედგენილი, რაც საშუალებას იძლევა საქმის ცოდნით წარმართონ საზოგადოების ძალისხმევა დაძაბული ეკოლოგიური სიტუაციის გასაუმჯობესებლად. აქაც საჭიროა მრავალი დარგის სპეციალისტების, ინსტიტუტებისა და დაწესებულებების თანამშრომლობა. ერთი რომელიმე ინსტიტუტი ამ საქმეს ვერ გააკეთებს, რადგან ეკოლოგიურ სიტუაციას მრავალი სხვადასხვა განზომილების მიზეზი განსაზღვრავს, ბუნებრივიც და სოციალურიც, და ამ კრიზისიდან გამოსავლის გზების ძიებაც სხვადასხვა ძალთა გაერთიანებასა და თანადგომას მოითხოვს.

საქართველოს სოფლების დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების ამსახველი და ეკოლოგიური სიტუაციების გამომხატველი რუკების შედგენა დიდძალ ხარჯებს მოითხოვს, იმ შემთხვევაშიც, თუ სამეცნიერო ინსტიტუტები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გასამრჯელოზე უარს იტყვიან. სამეცნიერო ხარჯებიც საკმაოდ დიდი იქნება. ამიტომაც, შეიძლება. ამ თანხლობას სპონსორობა გაუწიონ სახელმწიფო და კოოპერაციულმა გაერთიანებებმა. თავის მხრივ, სოციოლოგიის ასოციაცია შემოსავლის 70 პროცენტს მოახმარს ამ საქმეს. დაინტერესებულ რეგიონებს და რაიონებს შეუძლიათ ხელშეკრულება გაგვიფორმონ მათ ტერიტორიაზე ამ და სხვა სახის სამუშაოების შესასრულებლად. ყველა ვითარებაში ეს თანხლობა საჭიროებს ყველა რეგიონისა და რაიონის მშრომელთა ხელშეწყობას, რადგან შესწავლის ობიექტი ხდება საქართველოს ყველა კუთხე.

ვფიქრობთ, ამ გზით დავადგენთ ჩვენი საცხოვრისის ვითარებას და ეროვნული ყოფიერების პერსპექტივებს. ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია ამ საუმაოში როგორც სპეციალისტების, ისე მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობა, რეგიონების მოსახლეობას შეუძლია წერილობითაც შეგვატყობინოს მათი სოფლების ვითარება, ახლომდებარე ყოფილი სოფლების სახელწოდებანი, მათი გაუქმების მიზეზები: გაასახლეს, მთიდან ბარში გადაიყვანეს, სხვა რეგიონში ჩაასახლეს, თუ სოფლები დაცარიელდა კომუნიკაციის უქონლობისა და სოციალურ-კულტურული მოუწყობლობის გამო, კოლმეურნეობათა გამსხვილებისა, თუ მეურნეობებში გაერთიანების მიზეზთან.

ფასაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე ტყეების მდგომარეობის გაცნობა, როგორ უვლიან, როგორ უწევენ ექსპლოატაციას, რა პერსპექტივებია მომავალში. ასევე ყურადსაღებია მდინარეების და მათი შენაკადების მდგომარეობა. გვერდს ვერ ავუვლით კერე ერთ საგანგაშო ვითარებას, რომელიც შეეხება მიწის ზედაპირს, თუ მის წიაღს, ჰაერისა და წყლის დაბინძურების, მათი არადანშნულებისამებრ გამოყენებას.

ყველა ინფორმაცია შეიძლება მოგვაწოდონ, როგორც ადგილზე ჩვენი წარმომადგენლების მეშვეობით, ასევე წერილობით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრა მისამართით. ყველა ინფორმაცია გადმოცემა სპეციალისტების განხილვის საგანი.

თუ შევძელით საქართველოს სასოფლო განსახლების, ფიზიკურ-გეოგრაფიული და მიგრაციული პროცესების, მთელი საქართველოს ეკოლოგიური ვითარების დასურათება, ეს საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ სამოქმედო პროგრამა შესაბამის პრობლემათა გადასაჭრელად. ამ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით სპეციალისტებს, ამიტომ საჭიროა შეიქმნას ორასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

მოვუწოდებთ ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას და პიროვნებას მონაწილეობა მიიღონ ამ უაღრესად კეთილშობილურ და სამშვილშვილო საქმეში და მათი თანხმობა აცნობონ თბილისის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრას.

საქართველოს სოციოლოგიური ასოციაცია; თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრა.

საწარმოში საქმიანი ატმოსფეროა

დღევანდელ პირობებში იშვიათია სტაბილურად მომუშავე სამრეწველო საწარმო. ბევრი რამ აირდაირია, დაჰკარგა თავისი სახე, სამეურნეო კავშირების გაწყვნარ მოშლას საქმისადმი გულგრილი, უპასუხისმგებლო დამოკიდებულება დაემატა. ჩარხთან მდგომი კაცი ხშირად უგულოდ ამუშავებს დეტალს, მქსოველი უყურადღებოდ ტოვებს გაწყვეტილ ძაფს, ხოლო ხაბაზს ნახევრად გამომცხვარი პური ამოაქვს თონიდან.

ასეთ ფონზე სასიამოვნოა ისეთ საწარმოში მოხვედრა, სადაც შედარებით საქმიანი ატმოსფეროა. თუ ყველა არა, უმეტესობა მაინც კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაში, ცდილობს მეტი აკეთოს. საწარმოს დასახული აქვს სამომავლო გეგმები და იმედოვნებს, რომ თავს გაართმევს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემას, მაქსიმალურად გამოიყენებს წლის დამლევამდე დარჩენილ დროს.

• • •

სურათზე: (მარჯვნიდან) გაერთიანების ოპერატორი ქეთევან მოდებაძე და ცვლის უფროსი ნუგზარ რამიშვილი.

ზაზარ ლომაძის ფოტო.

რედაქციისგან მიიღო საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის მიმართვა რესპუბლიკის მოსახლეობისადმი და გვთხოვა მისი გამოქვეყნება.

ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირი გილოცავთ ქართველი ხალხის, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის ნების გამომხატველი უზენაესი საბჭოს არჩევას!

იმედს გამოვთქვამთ, რომ ახალი პარლამენტი ყველაფერს იღონებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, პიროვნების თავისუფლებისა და რესპუბლიკის ეკონომიკური აღორძინებისათვის.

ქართველ ხალხს უნდა ჰქონდეს იმის იმედიც, რომ ჩვენი კავშირი კვლავ ეროვნული თანხმობისა და აღორძინების იდეების ერთგული დარჩება. საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე აუცილებელია ჩვენი საერთო ძალისხმევა, სწორედ ამიტომ ვეხვრეფავთ რესპუბლიკის ინტელექტუალური ძალების კონსოლიდაციას ჩვენს კავშირში.

მაღლობის ნიშნად მდაბალ ვუხრით თავს იმ 88 ათასამდე ამომრჩეველს, რომლებმაც სრული შეგნებით მისცეს ხმა ბლოკს — „თანხმობა, მშვიდობა და აღორძინება“. გვინდა, დავარწმუნოთ ისინიც, მთელი ჩვენი ხალხიც, რომ პარლამენტში აურჩეველობა არ შეგვიშლის ხელს სამშობლოს უანგარო სამსახურში.

გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

ვუგრუნდებით დაგეჰდიდს

მოსავალი ის არის, რაც ბელეშიაო, ამტკიცებს ხალხური სიბრძნე. წელს გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ, როგორც ყოველთვის, საადრეო კომბოსტოს უხვი მოსავალი მოიყვანა. მაგრამ დიდი ნაწილი „ბელეშეს“ ვერ მიიტანა... ტარის უქონლობის მიზეზით მინდორშივე დაიღუპა. ამ აღმაშფოთებელი ფაქტის უშუალო მხილველნი გახლავართ. აბა, ჩემი პროფესიის „ეკი ყოველივე ამას როგორ „ჩაფარცხავდა“. მიმდინარე წლის 14 ივნისს „კომუნისტში“ დაიბეჭდა კრიტიკული ინფორმაცია სათაურით „მოსავალი არის, ტარა კი...“

ჩვენი „ეთილი სურვილი, ცხადია, საქმის გამოსწორება იყო. საპუთები იმდენად საფუძვლიანი გამოჩნდა, სულაც არ მოველოდი ისეთ რისხვას, თავს რომ დამატეხეს. რედაქციაში მოვიდა „საქაგრომრეწტარის“ უფროსის ო. ჭოხონელიძის ხელმოწერილი პასუხი, სადაც მწვავედ ვართ განქიქებული ჟურნალისტი და რაიონის სამეურნეო ხელმძღვანელები, აქაოდა, კრიტიკა როგორ გაბედეთო, ვის გაუბედეთო, წერილში ყველაფერი ტყუილია და ასე და ამგვარად...

„კარგი, რომ ჩვენს ოპონენტს პასუხის ასლი პარტიის გარდაბნის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომისათვის გადაუგზავნია. რედაქციას აღარ დასჭირდა სამხილი საბუთების წარდგენა. რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ავტორიტეტული კომისია გამოაყენეს და შემოწმების შედეგები ამცნეს რედაქციას და „აგრომრეწტარას“.

მკითხველი საქმის არსს რომ უკეთ გაიცნოს, ჩვენს ყველაზე მწვავე ადგილებს მოვიყვანთ ჭოხონელიძის პასუხიდან. მთლიანად მისი წერილის დაბეჭდვას ვერ ვახერხებთ, რადგან იგი ვრცელია, გაკეკლებთ ვრცელი, ვიდრე ჩვენი გაზეთის კრიტიკული შენიშვნა იყო, ეს არც არის გასაკვირი, გაგულისებულმა ავტორმა ყველაფერი „ჩამოჭყარა, უკან არაფერი დაიტოვა. აი, როგორ გვმოძღვრავს ეგი:

„ჩვენ არ ვიცით, რა მიზანი ჰქონია დასახული ავტორს ზემოთ აღნიშნული სტატიის მოშზადებისას, მაგრამ ერთი რამ ნათელია, ასეთი პუბლიკაციით მან ვერავითარი დაბმარება ვერ გაუწია გარდაბნის რაიონის მეურნეობებს ტარის პრობლემების მოგვარებაში, და ამავე დროს, არაობიექტურ ცალმხრივ ინფორმაციაზე აგებული, შეუმოწმებელი მასალით და არასწორი დასკვნებით შეცდომაში შეიყვანა საკითხის დეტალებში გაუთვითცნობიერებელი მკითხველი. სამწუხაროდ, ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ პატივცემულმა ავტორმა საჭიროდ არ ჩათვალა ფაქტებისა და ბრალდებების დაზუსტება იმ ორგანიზაციასთან, რომლის მიმართაც ისინი იყო გამოთქმული და რასაც ჩვენს ბევრი ელემენტარული ჟურნალისტური ეთიკაც მოითხოვდა“. (აქაც და ყველგან სტილი დაცულია. **დ. ბ.**).

ახლა იმ კომისიის წევრებს მოვუსმინოთ, რომლებმაც შეამოწმეს ჩემი წერილის ობიექტურობა. მათი დასკვნის საფუძველზე რედაქციას პასუხი აგროკომბინატ „გარდაბნის“ გენერალურმა დირექტორმა ნუგზარ მამალაძემ აცნობა.

„ჩვენ შევეცადეთ ობიექტურად, საკითხების შელამაზების გარეშე შეგვეფასებინა რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ტარით უზრუნველყოფის საქმე, — წერს იგი, — და მივედით იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნულ სტატიაში ფაქტები არც მოგონილია და არც ხელოვნურად გაზვიადებული. ასეთი შეფასების საფუძველი შემდეგია: თბილისის ტარის საწარმო, რომელიც წლების მანძილზე ემსახურებოდა გარდაბნის რაიონს, საქსახაგრომრეწვის კომიტეტის 1990 წლის 27 სექტემბრის № 2-105 ბრძანებით გადმოვიდა აგროსამრეწველო კომბინატ „გარდაბნის“ უშუალო დაქვემდებარებაში. მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქტარის 1989 წლის 12 სექტემბრის № 8/18-3 განრიგით 1990 წლისათვის ამ საწარმოს გამოყოფილი ჰქონდა 4 ათასი კუბმეტრი ტარა-მასალა... აქედან ორი ათასი I-II კვარტალში, ხოლო ორი ათ — III-IV კვარტალში: სინამდ ეში ამ საწარმოს აგროკომბინატ „გარდაბნის“ დაქვემდებარებაში გადმოსვლა მოხდა აღნიშნული ფონდის გარეშე. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით მოხდა აღნიშნული ტარა-მასალის ფონდის მოხსნა. ამ საკითხის გარკვევისა და დაბმარების მიზნით აგროკომბინატის დირექციამ ა. წ. 17 მაისს წერილით მიმართა „აგრომრეწტარის“ უფროსს ამხ. ო. ჭოხონელიძეს. ისე, რომ ეს საკითხი სამართლიანად გააშუქა კორესპონდენტმა თავის სტატიაში და მას „აგრომრეწტარის“ ხელმძღვანელობის განაწყენება არ უნდა გამოეწვია“.

ბოდიშს ვიხდი, რომ ციტატა ასე გამიგრძელდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. აღნიშნულის წაკითხვის შემდეგ მკითხველმა განსაჯოს, მე ვარ ცბლისმწამებელი თუ ჭოხონელიძე, ხოლო რაც შეეხება ჩემს ჟურნალისტურ ეთიკას, იგი ოდნავადაც არ დამირღვევია. მე ხელთ მქონდა რაიონის ხელმძღვანელების მიერ გაცემული დამოწმებული საბუთები და აბსოლუტური ჭეშმარიტების დადგენისათვის საჭირო აღარ იყო ორგანიზაციიდან ორგანიზაციაში სიარული. უმჯობესი იყო ჭოხონელიძეს ხელმძღვანელი მუშაკის ეთიკაზე ეფიქრა, ვიდრე წერილს მოამზადებდა (ან მოუმზადებდნენ) კეთილ ენება და ჩასულიყო გარდაბანში, თავად გაერკვია საქმის ვითარება. თუმცა ცოდვას ვერ ვიტყვი, თანამშრომელი კი გაგზავნა, მაგრამ როგორი ობიექტური მასალები მოუტანა მან, ამას გზადაგზა შევიტყობთ.

„გეგმით 1990 წელს გარდაბნის რაიონში უნდა დამზადდეს 8,7 ათასი ტონა საადრეო კომბოსტო, — ნათქვამია წერილში, — რისთვისაც დამტკიცებული ნორმების მიხედვით საჭიროა 259 ათასი ცალი № 4 ხის ყუთი. წლის პირველი ნახევრისათვის, ე. ი. საადრეო კომბოსტოს დამზადების პერიოდისათვის, რაიონს გამოეყო კომბინატის ყუთების ფონდი რსფსრ-ს სხვადასხვა მომწოდებლებისაგან შესაკედი კომპლექტების და ყუთების სახით 523,8 ათასი ცალის ოდენობით, ანუ ორჯერ მეტი; მათ შორის ახალი ყუთი, შეადგენს 178,6 ათ. ცალს, რის საჭიროებასაც ასეთი კატეგორიულობით ამტკიცებს ავტორი, თუმცა არსებობს სსრ კავშირის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის 1987 წლის 5 ივნისის № 77 დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც საწარმოებს და ორგანიზაციებს ევალება პირველ რიგში გამოიყენონ დაბრუნებული ტარა და მხოლოდ მისი უქონლობის შემთხვევაში ახალი ტარა. გარდა ამისა, კორესპონდენტის მიერ დასახელებულ ტარის ბაზის დირექტორისა და ბის გათვალისწინებით მოხდა III-IV კვარტალების ანგარიშზე და საერთოდ არ შეხებია წლის პირველ ნახევარს ე. ი. საადრეო კომბოსტოს დამზადების პერიოდს“.

ციფრების ისეთი კორიანტელი დაიყენა ჭოხონელიძემ, დილეტანტს და საქმეში ჩაუხედავს დაარწმუნებს. თუ რის საფუძველზე ვამტკიცებ გარდაბნის რაიონს ტარის ფონდები წაართვესო, ამაზე მოვიტანე ადგილი კომისიის ნარკვევი მასალებიდან, აგრეთვე ხელთა მაქვს რაიონის ხელმძღვანელების მიერ დამოწმებული ცნობები, რომლის შესახებ ზემოთაც აღვნიშნე, მათი მიმართვა თავად ო. ჭოხონელიძისადმი და რაღა ტარის უქონლობით რომ დიდძალი კომბოსტო დაფუპა გარდაბნის საბჭოთა მეურნეობას, ეს საკუთარი თვალით ვიხილე და ხელთა მაქვს კიდევ მეურნეობის ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტება. მაგრამ რას იზამ, ჩემი სიმართლე ყველას ჯერა, არ ჯერა მხოლოდ ჭოხონელიძეს, რადგან ან ხელს არ აძლევს, ან კორესპონდენტი დაბალი ღობე ჰგონია. რაკი ასეა, ახლა კომისიის დასკვნას მოვუსმინოთ, იქნებ მაშინ ვეღარაფერი თქვას ჭოხონელიძემ.

„საწარმოო გაერთიანება „საქტარის“ მიერ 1989 წლის 11 სექტემბრის 8 განრიგით 8 სხვადასხვა ორგანიზაციიდან... ტარის საწარმოზე გამოყოფილი იყო ხმარებაში ყოფილი 279 ათასი ცალი ყუთი. აქედან ათვისებული იყო 10 ათასი ცალი. დანარჩენის ათვისება არ მოხდა იმის გამო, რომ მომწოდებელს ფიზიკურად არ გააჩნდა. საქტარის 1989 წლის 9 სექტემბრის № 8-12-4 განრიგით კომბინატს გამოეყო აგრეთვე 800 კუბმეტრი ტარამასალა, ხოლო 13 დეკემბრის განრიგით — ათასი კუბმეტრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ორივე განრიგით გამოყოფილი 1,8 ათასი კუბმეტრი ტარამასალიდან 1990 წლის I-II კვარტალში გამოყოფილი იყო მხოლოდ 700 კუბმეტრი, ანუ 83,3 ათასი ცალი № 4 ყუთი, ხოლო 1100 კუბმეტრი გამოყოფილია III-IV კვარტალში, რაც თავისთავად მეტყველებს, რომ საადრეო კომბოსტოს გადატვირთვის დროს მას ვერ გამოიყენებდნენ“. ასეთია ფაქტები და სინამდვილე, რასაც ვერსად გაექცევიან „საქაგრომრეწტარის“ მუშაკები.

ერთ ადგილას ჭოხონელიძე აღნიშნავს, რომ ტარის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტისათვის მთავარი და სერიოზული დაბრკოლება ის არის, რომ რესპუბლიკაში ეს საკითხიც სწორად არის დაყენებული და შემოდავება ამაოა.

წერილში მართლაც არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ „რაიონის მეურნეობებში ახალი ტარის ნაკლებობას ხშირად იწვევს მათ მიერ მიღებული ტარის ანგარიშების გაუნაღდებლობა“, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, რომ საგაზეთო წერილს ყველა საკითხის ასახვის პრეტენზია ვერ ექნება. თუ ის იწყინეს საქაგრომრეწტარის მუშაკებმა, რომ მათი აგროკომბინატის ფონდების სხვაზე თვითნებურად გადაცემა, მათ მიერ რაიისაბჭოს აღმასკომის წერილზე პასუხის გაუცემლობა ბიუროკრატის იარლიყით შევაფასეთ, ეს ფაქტია და ამას ვერავინ გაექცევა.

„კარგი იქნებოდა, თუ პატივცემული ავტორი ასეთივე სიმკაცრით შეაფასებდა მისი სტატიის ავ-კარგს, რომელიც რესპუბლიკის თავაური გაზეთის მეშვეობით მილიონობით მკითხველს შესთავაზა“, — ნათქვამია პასუხში, რაზეც დავძენთ, რომ იგი დაიწერა არა ლამაზი ხის ან სპასტმასის ტარის დაბრუნებაში გადამწყვეტი სიტყვა რაიონების ტარის ბაზისა და მეურნეობების მესვეურთ ეკუთვნის. რა თქმა უნდა, მათი როლის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის „საქტარისა“ და „საქაგრომრეწტარის“ ხელმძღვანელობას, სწორედ მათ უნდა წაუყენონ კატეგორიული მოთხოვნა ვაჭრობის პასუხისმგებელ, მუშაკებს ტარის დაუზიანებელი და დროული დაბრუნების შესახებ.

და, ბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ არც ვაპირებდი ამ წერილის დაწერას, ვიფიქრე, კრიტიკით გაგულისებულ კაცს შეეუნდობ-მეთქი, მაგრამ ამ ბოლო დროს ყოველ კრიტიკულ გამოსვლას ბევრი ნიშანთა და მახვილით ხედავენ, როგორც სიმართლეც უნდა იყოს იგი. ისე გაგთათხავენ, ჟურნალისტი ისედაც რთული პროფესია კიდევ უფრო გართულდა და გამძაფრდა. სწორედ ამიტომ, გადაეწყვიტე საშაქარაოზე გამომეტანა სინამდვილე. ახლა მართალი და მტკუანი მკითხველმა განსაჯოს.

დავით ბიწაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

კრიტიკით გაგულისებულნი

ანუ ერთი წერილის ორი პასუხი

თვალსაზრისი

ქართველთაშორ ვისაც შური, ზიზღი, მხეცობა, უმადურობა, სიხარბე, ბეზღობა თუ სხვა რამ საკრაზახისი ზადი ჩაგვუბერბოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით ადრე ამის აშკარად გამომზეურებას თუ ვერ ბედავდა, ახლა თავმოწონედ ამონთხევის ღაში უდგას! თან ფორმებსა და არჩევანს არ იკითხავთ: თავისივე მიწა-წყალზე თუგინდ ავტომატი დაუშინე ქართველებს და სასწავლებლები დაუბომე, ან ავაზაკურად შეუვარდი სახლში და აკვანში მწოლიარე თოთო ბავშვი მოუკალ, ან კიდევ შუაღამისას მიეპარე და კარ-ფუძე ორიოდე საათში ნაცარტუტად უქციე... ხოლო თუ სათარეშო ღონე არ შეგწევს, ნურც. მაგაზე დაგწყდება გული: აგერ არ არის პრესა, ეკრანი და მაღალი ტრიბუნა — მისდეკი და სულ თავლაფი ასხი ქართველებს! როცა მათი სატკივარი ირჩევა, ეცადე, შავი თეთრად მოაჩვენო ქვეყანას და უარესად მოუკლა გული ისედაც გულმოკლულ ერს, როგორც ეს სამხედრო პროკურორმა ა. კატუსევმა ინება სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე.

რაც საკავშირო პრესამ და ტელევიზიამ (და არა მარტო მათ) ყბად აგვიღო და ქართველების ლანძღვა-თრევას დიდი ბაზარი მიეცა, ბევრმა საკუთარ თავში მოულოდნელად ჟურნალისტის ტალანტი იგრძნო და იწამა. ამიტომ ზოგიერთი მათგანი, თვით ისეთებიც კი, ხელფასის უწყისზე ხელის მოწერის მაგიერ ჯვარს რომ უსვამდნენ, ახლა გულმოდგინედ ჩამსხდარან და ქართველების საიუბო პასკვილებს აცხობენ! მე შენ გეტყვი და ვერსად დაბეჭდავენ თუ რა?! აი, თუგინდ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი საბედო ოლქის ორგანო „ლენინაკოე ზნამიას“ შარშანდელი 3 აგვისტოს ნომერში თბილისის მცვდრი ვინმე ა. ჰასანოვი რასა ბეწამებს: ქართველი ახალგაზრდები ქუჩებში ეროვნულ დროშებს დააფრიალებენ და გაჰყვირიან — საქართველო, საქართველო ყველაზე მაღლა!... ჩვენ, ქართველები, (ისაფერსისხლიან არიულ რასას წარმოვადგენთ!... ჩვენ დაბადებულნი ვართ მბრძანებლებად

ბ ო რ ო დ ი ნ ო დ ა ნ
9 ა პ რ ი ლ ა მ დ ე

და მმართველებად, დანარჩენი ხალხები კი მოვალენი არიან იმუშაონო!

გესმით, ხალხო?! ხედავთ, ბატონი ჰასანოვი ქართველებს რანაირ მუნდირში გვაყოფინებს მკლავს?! თუმცა კი ყოველი მცოდნე და სამუსაინი კაცი მიხვდება, რომ ეს ურცხვი ცილისწამებაა და ქართველი ხალხი, რომელმაც ფაშიზმთან ბრძოლას თავისი ასიათასამბით საუკეთესო შვილი ამსხვერპლა, მაგნარ მუნდირს სათოფეზეც არ გიეკარება. ხოლო ის ნაფტალინით აყროლებული მუნდირი, საკმე შემტკბარი ჰასანოვი ვიღაცის საამებლად ფაციფუცით რომ აზომებს მხარბეჯინან ქართველს, თვით ქართველისვე დაკვეთით კი არ არის შეკერილი და მოტანილი, არამედ „ვათიმე და იბატონე“ ციტადელის ნესტიან გარდერობიდან ხალხს გასაბრაზებლად გამოატანინეს პენსიონერ ნორჩ კალმოსანს!

მოდით, ახლა დავდოთ ქუდი და გავაჩინოთ სამართალი: ამ და მსგავსი ცილისმწამებლური სტატია-გადაცემებით სახელგატეხილი და გულმოკლული ქართველი ყმაწვილი რა გულით უნდა გამოცხადდეს სამხედრო ნაწილში? ან რა თვალით შეხედავენ სხვადასხვა ეროვნების თანატოლები და ოფიცრობა? და რაღა გასაკვირია, რომ მსგავსი პუბლიკაცია-გადაცემებით გულმოკლულ და გულმოსულ სამხედროთა შორის კამათ-კინკლაობა ჩამოვარდეს და სისხლიც დაიღვაროს. იღვრება კიდეც! როგორც საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობა იუწყება, მარტო შარშანდლიდან დღემდე არმიის რიგებიდან 109 ახალგაზრდა ჩამოგვისვენეს რესპუბლიკაში.

ამ მხრივ ატმოსფერო განსაკუთრებით დაიძაბა 9 აპრილის შემდეგ, როცა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე გენერალმა ი. როდიონოვმა, გასასამართლებელი თავი რომ აღარ ება და წყალწყიღბულივით ხავსს ნაეჭიდა, ქართველებს ანტირუსული განწყობილება და გამოსვლები დაგვწამა, ხოლო მისმა ერთგულმა დამცველებმა, თავიანთი საიაყვანებელი სარდალი (აწ უკვე ყოფილი) მშრალზე რომ გამოეყვანათ, ცუღლუტობა იხმარეს: ქართველი ხალხის სამართლიანი ზიზღი და რისხვა, მიმართული როდიონოვისადმი, ადგნენ და როდიონოვიდან მთელ საბჭოთა არმიაზეც გადაიტანეს და გაავრცელეს! მაგრამ ეს ფანდი არ გაუვათ: როდიონოვი — როდიონოვია, საბჭოთა არმია — საბჭოთა არმიაა და მათი გაიგივება უმეცრობაა. მაგრამ სისხლიანი გენერლის სქელშუბლა ვეერეები მაინც თავისას გაიძახიან: ქართველებს საბჭოთა არმია სძულთ, მასში სამსახური აღარ სწადიათო! ახლა სტატიებსა და რადიო-ტელეგადაცემათა შინაარსს, ასთოსსა და კოლს არ იკითხავთ? არმიის საჭიროებასა და მასში სამსახურის აუცილებლობაზე ისეთი ტონითა და გამომეტყველებით გვიყვირიან, გვთათხავენ, გვაფრთხილებენ, გვმოძღვრავენ, ჩაგეჩიჩინებენ, გვასწავლიან, მგვიწოდებენ, გვანამუსებენ, გვამხნევებენ, გვეხვეწებიან, გვიფერებიან, გველოლიავებიან, გვაქეზებენ, გვითითებენ და გვიბძანებენ, რომ თითქოს ისტორიის ბარი ხლეპქეზეშ გამოვლილი, დიდგორის, შამქორის, ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის, ასპინძის, კრწანისის, ბოროდინოს, ბაშკადიკლარის, ყარსის, ახალციხის, დევაბონეს, ჩოლოქის, დაღესტნის, ყირიმის, ბრესტის, ხასანის, ხალხინგოლის, ფინეთის, ოდესის, ყირიმის, ქერჩის, სევასტოპოლის, მოსკოვის, კავკასიის, სტალინგრადის, როსტოვის, ლენინგრადის, კურსკის, კიევის, კენიგსბერგის, კარპატების, ვარშავის, ვენის, ბუდაპეშტის, ბუქარესტის, პრაღის, ტექსელის, პომერანიის, ბერლინის თუ სხვადასხვა აურაცხელი ბრძოლა-ნაწყვეტები, შესაშური მხედრული დიდებისა და ტრადიციების მქონე, მსოფლიოში სახელმოხვეჭილი მხედართუფროსების, მეფე-სარდლებისა და სამხედრო მოღვაწეთა შობელი ერი კი არ ვიყოთ, არამედ ინკუბატორიდან აწლადგამოჩეკილი საექსპერიმენტო მასა, რომელსაც არც სამშობლოს გრძნობა დაპყოლია, ვერც მისი დაცვის საჭიროება შეუგნია, თურმე არც მომმის გატანის მარიფათი შეგვწევს და ასკერაც რომ აგვიხსნან და გვიჩვენონ, მაინც ვერ დაგვიმახსოვრებია: სროლისას თოფი მხარზე კონდახით თუ ლულიდან უნდა მივიბჯინოთ! ვითომ არ იცოდნენ, ვინ ვიყავით, ან ახლა რანი ვართ? თითქო ქართველი მხედრები ჯერ რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა არმიის მეომრების მხარდამხარ პორტ-არტურიდან მოყოლებული ვიდრე ლამანშამდე, ფინეთიდან ვიდრე ბოსფორამდე და პაკისტანამდე სისხლის საღვრელად კი არ ლაშქრობდნენ, არამედ ყვავილების საძებნ-საკრეფად და იქაურ ლამაზმანებთან ვალსის საცეკვაოდ!

მაგრამ დღეს ამის გახსენება ზოგიერთს ხელს აღარ აძლევს. ამიტომ ცდილობენ ისტორიის პირი ამოულურსმნონ, თვალება საღდათური ფეხსაბვევით აუკრან და ჯერ რუს, მერე კი საბჭოთა სხვა ხალხებთან ქართველების ურთიერთობის ათვლა შარშან 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ სისხლიანი ტრაგედიის როდიონოვ-კატუსევისეულ ურცხვი ინფორმაციიან-შეფასებიდან დაიწყონ! მაგრამ ამნაირი ოინებით ფონს ვერ გავლენ: რუსი და ქართველი ხალხების გაცნობა მე-11 საუკუნით თარიღდება, ხოლო XVII საუკუნეში მოსკოვში ქართველი კოლონიის ჩასახვისთანავე დაიწყო ქართველების აქტიური და სისტემატური მოღვაწეობა რუსეთის სამხედრო სარბიელზე. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ რუსეთის არტილერიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი გენერალ-ფელდცეიხმეისტრად (1700 წ.) სწორედ ქართველი კაცი — ბატონიშვილი ალექსანდრე ბაგრატიონი გვევლინება... იქიდან მოკიდებული ბევრმა ქართველმა ოფიცერმა თუ რიგითმა გაითქვა სახელი სხვადასხვა ომში, რასაც მაშინდელი რუსეთი განუწყვეტლივ აწარმოებდა. ამის საბუთად მარტო დავით გურამიშვილის პოეზია და მის „ქართლის ჭირში“ აღწერილი ამბებიც იკმარებს.

საქართველოს რუსეთის ნაწილად გამოცხადების შემდეგ ხომ სულ რაღაც ათიოდე წელიც ძლივს იყო გასული, რომ ქართველებმა ბოროდინოს ველზე საქვეყნო დიდება მოუპოვეს რუსულ იარაღს. პეტრე ბაგრატიონის გარდა, კიდევ სამხედრო გენია გვატყვევებს და ამიტომ ხშირად გვავიწყდება ხოლმე, ბევრმა კი არც იცის, რომ ბოროდინოს ველზე, სადაც რუსეთის ბედ-იღბალი წყდებოდა, პეტრე ბაგრატიონის გარდა კიდევ თერთმეტი სხვა ქართველი გენერალი და ათასობით სხვადასხვა ჩინის მეომარი იბრძოდა. ერთიც ვიკითხოთ: მაშინდელმა რუსეთმა ნუთუ არ იცოდა, ქართველი გენერლების სახით ვის უყენებდა სათავეში სამშობლოს გადასარჩენად ამდგარ ათიათასობით რუს ჯარისკაცს? ანდა, ნუთუ თვით ქართველი გენერალ-მეომრები არ უფიქრდებოდნენ — სად, ვისთვის და რატომ ღვრიდნენ საკუთარ სისხლს? იცოდნენ, როგორ არ იცოდნენ — ყველამ ყველაფერი კარგად უწყოდა!

მეცხრამეტე საუკუნემ ხომ რუსეთის არმიას ქართველი უბრწყინვალესი მხედართმთავრების მთელი პლეადა მისცა. რომელი ერთი გაიხსენოს და ჩამოთვალოს კაცმა. ამას ტომები დასჭირდება. რუსეთ-თურქეთის ომები, რუსეთ-ირანის ომები, ყირიმის ომი, რუსეთ-იაპონიის ომი, პირველი მსოფლიო ომი, სამი რევოლუცია, ანტანტის ინტერვენცია, სამოქალაქო ომი, ფინეთის ომი, ვიეტნამი, ავღანეთი?...

ჰოდა, შეიკრიბონ ახლა მთელი მსოფლიოს ისტორიკოსები და დაგვისახელონ თუგინდ ყოველად უმნიშვნელო ფაქტი, მოვლენა, ეპიზოდი, ფურცელი, ანდერძი, ამბავი, არაკი, თქმულება, ლეგენდა, გადმოცემა თუ შემთხვევა, რომ ქართველი ხალხი სადმე, როდესმე რუსი ხალხის წინააღმდეგ გამოსულიყოს. პირიქით: ქართველი ხალხი ერთგულად ამოუდგა მხარში რუს ხალხს და მასთან ერთად შუდამ სამშობლოს, რეფორმების, განახლების, წინსვლისა და პროგრესის მხარეზე იქნევდა ხმალსა და კალამს. ასე, რომ როდიონოვ-კატუსევსა და კომპანიას ერევათ: დღეს ქართველი ხალხი რუს ხალხს კი არ ებრძვის, არამედ რუს ხალხთან ერთად იბრძვის იმ სულისშემხუთველი ბიუროკრატიულ-ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც ისე გახრწნა და დააუძლურა დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული, ბუნებრივი რესურსებით მსოფლიოში ყველაზე უმდიდრესი ზესახელმწიფო, რომ საპონიც კი სანატრელი გაგვიხდა, ის საპონი, ბისმარკი გონებამახვილურად რომ ოხუნჯობდა: ერების კულტურა განისაზღვრება იმით, თუ ვინ რამდენ საპონს ხარჯავსო!

ერთი სიტყვით, ვისაც დღევანდელი დაძაბული სიტუაციის გულწრფელი გარჩევა და მკურნალობა სურს, რუსი და ქართველი ხალხების პოლიტიკური, კულტურული და სამხედრო ურთიერთობები ცოტა შორიდან უნდა იკვლიოს, ხოლო თუ ძალიან ჩაღრმავება ეზარება, მაშინ ბოროდინოს საბრძოლო დიდების სვეტიდან მაინც დაიწყოს და ისე მივიდეს 9 აპრილის ტრაგედიის მიზეზებამდე. მაგრამ ასეთი მეთოდი ყველას ხომ არ აძლევს ხელს! ასე ხომ, რუსი და ქართველი ხალხების ურთიერთგატანის მაგალითებს მივადგებით. პირიქით, ასეთ მაგალითებს ნაცარს აყრიან. განა ამის დასტური არ იყო შარშან ბოროდინოს ველზე ბაგრატიონის საფლავიდან ამოთხრა და წაბილწვა! იმ პეტრე ბაგრატიონისა, რომელზეც მის საგმირო საქმეთა უშუალო თვითმხილველი რუსი თავადი ნ. გოლიცინი წერდა: 1812 წელს გამოჩენილი მხედრული გენია და მაღალი ხელოვნება ბაგრატიონს რუსეთის! მსნნელოთა რიგებში აყენებსო.

გვწამს, რომ ამ ვანდალურ აქტს რუსეცა და ქართველი ხალხიც თანაბრად მიიტანდა გულთან, მაგრამ მაინც საკითხავია — 177 წლის წინათ ვმიერულად დაღუპულმა რუსეთის არმიის ქართველმა მხედართმთავარმა დღეს ვის რა გველი ნეუწვა? მისმა გამაუპატიურებლებმა მაინც რა მამხილეელი საბუთები უპოვეს: სამხედრო სამსახურს თავს არიდებდა, ანტირუსულ მიტინგებს აწყობდა, ფრანგეთ ევროპაში ლაშქრობისას რომელიმე სახელმწიფოს დატყვევებული მეფის ოჯახი ამოწყვეტინა ქალიან-ბავშვებიანად, რუსი გლეხები გააკულაკა, სუვოროვისეული დაშნა მართლა ნაჩუქარი კი არა, მოპარული აღმოაჩნდა, მანდილოსნებთან რაინდობა ღალატობდა, ჯარისკაცების ულუფას ფლანგაყდა და მერე არყისგან გამტყვარალი ქვეყნის სამასხროდ ბუქში გორობდა, ზარბაზნის ქუხილზე მუხლები ეკვეთებოდა, პარანოია სჭირდა და თანამებრძოლებს არ ენდობოდა თუ ნაპოლეონის საიდუმლო აგენტი იყო და ფრანგებმა მისი დახმარებით შეძლეს მოსკოვის აღება?...

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ ქართველი ახალგაზრდობის, საერთოდ, ქართველი ხალხის დამოკიდებულება საბჭოთა არმიისადმი ისეგ ძველებურ-სტერეოტიპული, ერთმნიშვნელოვანი იყოს. დიახ, ჩვენი ჭაბუკების ერთი ნაწილი უარს აცხადებს საბჭოთა არმიაში სამსახურზე და თავიანთ პროტესტს მიტინგებით, ქუჩებში ღამისთევითა და შიმშილობის გამოცხადებით გამოხატავს. ეს უკვე რეალობაა და ამას ვერსად წაუვალთ! მაგრამ, მოდით, ერთი ესეც ვიკითხოთ: ამგვარი განწყობილება და მოძრაობა ნუთუ მარტო საქართველოში შეინიშნება?! აი, რას ამბობს ეურნალ „კომშუნისტ ვოორუჟენნიხ სილ“-ის (1989 წ. № 13) ფურცლებზე სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი მ. მოისეევი: 1988 წელს მარტო ქალაქ მოსკოვში 400-ზე მეტმა წვევამდელმა შეგნებულად აარიდა თავი სამხედრო სავალდებულო სამსახურსო.

შარშანდელი 28 ივლისის გაზეთ „მოსკოვსკაია პრავდას“ ფურცლებზე მოსკოვის საქალაქო სამხედრო კომისარიატის პოლიტგაყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი მ. კლიმოვი კი პირდაპირ გოდებს: სულ. უახლოეს წარსულთან შედარებითაც კი დღეს მნიშვნელოვნად გაბნელდა არმიაში გაწვევა. მარტო ა. წ. პირველი აპრილიდან დედაქალაქის რაიკომისარიატებში არ გამოცხადებულა 1 527 უწყებამიღებული მოსკოველი წვევამდელი, ხოლო 290-ზე მეტი გაწვევას საერთოდ ბოროტად არიდებს თავს და ეძებენო. მარტო 1988 წელს პროკურატურას გადაგეცით 133 თავისამრიდებელ წვევამდელთა სისხლის სამართლის საქმეო. სამედიცინო დაწესებულებათა მოუქნელი მუშაობით ძალიან გვეჯიანურდება წვევამდელთა დროულად გაგზავნა არმიაშიო. მაგალითად, პირველი მაისის რაიონის პოლიკლინიკებში 56 წვევამდელს ორ თვეზე მეტია რაც იკვლევენ და პასუხი ჯერაც არ არისო. ექიმებისა და განსაკუთრებით ექიმ-ფსიქიატრების ლოცვა-კურთხევით მკვეთრად იზრდება სიმულიანტ წვევამდელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღვაწლი

თვალსაჩინო მეცნიერი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს ჯუმბერ ლომინაძეს დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა. ჩვენი საზოგადოებრიობა მას იცნობს, როგორც ღირსეულ მამულიშვილს, შესანიშნავ მეცნიერ-ფიზიკოსს — პლაზმის ფიზიკასა და ასტროფიზიკაში ფუნდამენტური გამოკვლევების ავტორს.

პლაზმის ფიზიკის პრობლემებით ბატონი ჯუმბერი ჯერ კიდევ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლის დროს (1950-55 წ. წ.). დაინტერესდა. მეცნიერების ეს დარგი სწორედ მაშინ იწყებდა ინტენსიურ განვითარებას და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რადგან ის ძირითად მიზნად ისახავდა თერმობირთვული იარაღის „გაკეთილშობილებას“, ანუ ისეთი რეაქტორის აგებას, რომლის საშუალებითაც . მოხერხდებოდა თერმობირთვული რეაქციების მართვა და, მაშასადამე, ენერგობრივობას შეეკმნებოდა ფაქტობრივად ულევი, ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის წყარო.

უნივერსიტეტის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჯ. ლომინაძე განაწილეს ურალში, ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე და უშუალოდ მონაწილეობდა თერმობირთვული იარაღის სრულყოფის პროგრამაში. მიუხედავად ამისა, მისი სამეცნიერო ინტერესები ყოველთვის განუყოფლად იყო დაკავშირებული პლაზმის ფიზიკასა და ასტროფიზიკაში. ამ მხრივ ლომინაძე ეზიარა ფუნდამენტალურ ფიზიკურ ძალები ერთ-ერთ უმთავრესი საქმე გახდა. ამ ძიების შედეგია შავი ხვრელების ათობით „კანდიდატის“ აღმოჩენა, თუმცა დღესღეობითაც შავი ხვრელის არსებობა საბოლოოდ დადგენილად არც შეიძლება ჩაითვალოს. იმის გამო, რომ შავი ხვრელების უშუალო დამზერა არ შეიძლება, მის არსებობაზე საბოლოო სიტყვა თეორეტიკოსებს ეკუთვნით. ერძოდ, საჭიროა შეიქმნას ისეთი თეორიული მოდელი, რომელიც უტყუარად ახსნის შავი ხვრელების „კანდიდატების“ მახლობელი სივრციდან წამოსულ გამოსხივებას. ჯუმბერ ლომინაძის ხელმძღვანელობით შემუშავებული მოდელი საკმარისად კარგად ხსნის შავი ხვრელების ყველაზე საიმედო „კანდიდატის“ გედი X-1-ის რენტგენული გამოსხივების თავისებურებებს და უფრო დეტალური თვისებების პროგნოზირების საშუალებას იძლევა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი მეცნიერული შედეგები აქვს ჯუმბერ ლომინაძის მიღებული მზესა და დედამიწის ატმოსფეროში მიმდინარე პლაზმური პროცესების შესახებ.

ბატონი ჯუმბერი დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ახალგაზრდა მეცნიერთა აღზრდას. განყოფილებამ, რომელიც მან უმეტესად ახლადკურსდამთავრებულ მეცნიერთაგან შექმნა, უაღრესად მოკლე პერიოდში დიდი აღიარება მოიპოვა როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთულ მეცნიერთა შორის.

განყოფილებაში შექმნილია ყველა პირობა მეცნიერის შემოქმედებითი ზრდისათვის, და მაინც ბატონი ჯუმბერი აუცილებლად მიიჩნევს ახალგაზრდების გაზრდას მეცნიერულ ცენტრებში როგორც ჩვენთან კავშირში, ასევე საზღვარგარეთ. ამ საქმეში მას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ თავად მრავალმხრივი, მჭიდრო მეცნიერული კავშირები აქვს წამყვან ცენტრებთან უცხოეთში და ჩვენში — სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო ფორუმებში, მას ხშირად იწვევენ ლექციების წასაკითხავად და ერთობლივი სამუშაოების ჩასატარებლად; იგი 10 წლის განმავლობაში იყო საკავშირო ეუნცლ „პლაზმის ფიზიკის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი დღიდან ამ ჟურნალის დაარსებისა; ამჟამად იგი გახლავთ საკავშირო საპრობლემო საბჭოს „პლაზმის ფიზიკის“ ბიუროს წევრი და სხვა.



სწრაფად იზრდება განყოფილების სამეცნიერო პოტენციალი: თეორიული ასტროფიზიკის განყოფილებაში, რომელიც უმთავრესად უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებულებით იესება, აღიზარდა 9 მეცნიერებათა კანდიდატი და მომზადდა 2 მეცნიერებათა დოქტორი. ამას, თავის მხრივ, უაღრესად თვალსაჩინო შედეგი მოჰყვა — თვით ამ განყოფილებაში ხშირად შეხვდებით სხვადასხვა ცენტრებიდან, ჩამოსულ როგორ ახალგაზრდა, ისე ასაკოვან, მეცნიერებსაც რომლებიც იმაღლებენ მეცნიერულ დონეს, ან საერთო სამუშაოებს ასრულებენ.

პროფესორი ჯუმბერ ლომინაძე 25 წელზე მეტია კითხულობს ლექციებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ერთდროულად ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში პლაზმის ფიზიკოსთა ჯგუფს, სადაც მისმა ორმა მოსწავლემ მოამზადა სადოქტორო დისერტაცია.

ახალგაზრდა მეცნიერებზე ზრუნვით იყო, უპირველეს ყოვლისა, ნაკარნახევი ბატონი ჯუმბერის თაოსნობით კოსმოსური პლაზმის საერთაშორისო სკოლის „ვარენა-ამასთუმანის“ დაარსება. ეს სკოლა იმდენად პოპულარული და პრესტიჟული გახდა, რომ მისი ჩატარებისათვის საჭირო ხარჯების გაღებისა და ორგანიზაციაში მიღების სურვილი გამოთქვეს ბაპონიისა და გერმანიის წამყვანმა მეცნიერულმა ცენტრებმა. მომავალი შეკრება ჩატარდება იაპონიაში, ქ. ნაგოიაში.

ჯუმბერ ლომინაძე აქტიური საზოგადო მოღვაწეა, დიდი ერუდიციის მქონე ადამიანი — კარგად იცნობს ლიტერატურას, მუსიკას, მხატვრობას (თვითონ ხატავს, გატაცებულია მხატვრული ფოტოგრაფიით). მისი ხასიათის თვისებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია კეთილმოსურნეობა. „ნუ მიაგებ ბოროტს ბოროტის წილ, ნურც გინებას გინების წილ, არამედ აკურთხევდეთ წინაალმდგომს...“ ამბობს ალიქმა. ჯუმბერ ლომინაძეს ჭეშმარიტად შეუძლია სიკეთე მიაგოს ავისმოსურნესაც, ვინაიდან ასეთია მისი შინაგანი ბუნება, მისი პიროვნების არსი. ადამიანებს სჯერათ მისი სიკეთისა და იმდენად დარწმუნებულები არიან მის გულითადობაში, რომ ხშირად კეთილი საქმეებისათვის ზედმეტი ძალღონეების გრძნობის გამოხატვას საჭიროდაც არ მიიჩნევენ. ეს, თავის მხრივ, უადვილებს ადამიანებთან ურთიერთობას. ვისაც კი საქმე ჰქონია ბატონ ჯუმბერთან, უთუოდ მოხიბლული დარჩებოდა მისი დახვეწილი ინტელიგენტურობით, მისი შესანიშნავი უნარით ექსტრემალურ სიტუაციაშიც კი შეინარჩუნოს ადამიანისადმი საოცრად ფაქიზი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბატონ ჯუმბერის არაჩვეულებრივი შრომისუნარიანობა. კვლევის პროცესში იგი თითქმის მოწყვეტილია გარე სამყაროს, მისი ყურადღება მაქსიმალურად კონცენტრირებულია. ამასთან ერთად იგი უაღრესად სიცოცხლისმოყვარული, მხიარული ადამიანია, აქვს მშვენიერი ოჯახი, ხელისშემწყობი და მონაწილე მისი ყველა წარმატებისა, ჰყავს ძალიან ბევრი მეგობარი და კეთილმოსურნე.

გიორგი ხარაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ივანე კილურაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის ს. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი;

ევგენი ხარაძე,
აკადემიკოსი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი.

ჟურნალი საკდესი იუწყება
5 ნოემბერი

პენტაგონის შეფასება

ნიუ-იორკი. ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციის წარმართვისათვის შეერთებულ შტატებს 1 მილიონი სამხედრო მოსამსახურე დასჭირდება. პენტაგონის ეს საიდუმლო შეფასება გუშინ გამოაქვეყნა გავლენიანმა ყოველკვირეულმა „ტაიმმა“. სამხედროების აზრით, ასეთი მძლავრი ძალები აუცილებელია „ერაყში შეჭრისა და მისი შეკავებისათვის, შემდგომში კი მისი მხრივ ომის საფრთხის ნეიტრალიზაციისათვის“.

როგორც სტატიაშია მითითებული, თავდაცვის სამინისტრომ გაანგარიშების შედეგები თეთრ სახლს აცნობა. სპარსეთის ყურის რაიონში ჯარების მძლავრი დაჯგუფების შექმნის მისწრაფება, ყოველკვირეულის ვარაუდით, ასახავს ამერიკის ადმინისტრაციის შიშს, კიდევ ერთხელ არ აღმოჩნდეს ვიეტნამის ომის მსგავს სიტუაციაში.

საიდუმლო ხელშეკრულება

ბრაზილია. ბრაზილიამ ერაყს დაუდო საიდუმლო ხელშეკრულება ომის თაობაზე, რომ მის მძევლებს გაათავისუფლებენ ბრაზილიის კერძო ფირმების მიერ ხადამ ჰუსეინის რეჟიმთან დადებული ყველა კონტრაქტის შესრულების სანაცვლოდ. თუ კონტრაქტები არ შესრულდება, პრეზიდენტ ფერნანდო კოლორ დე მელოს მოავრობა ვალდებულებას კისრულობს გადაუხადოს ერაყს საუპირო. ამას იტყობინება კარგად ინფორმირებული გაზეთი „გლობუ“.

255 ბრაზილიელი მოქალაქის განთავისუფლების თაობაზე მოლაპარაკებაში პირადად მონაწილეობდა პრეზიდენტი კოლორ დე მელო, რომელმაც რამდენჯერმე დაურეკა სადამ ჰუსეინს და დახმარებისათვის მიმართა იორდანიის, მეფეს და იემენის პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარეს. მოლაპარაკების საბოლოო ეტაპზე ერაყში გაიგზავნა სპეციალური დიპლომატიური მისია. ბრაზილიის მთავრობის წარმომადგენლთა მტკიცების მიუხედავად, აღნიშნავს „გლობუ“, ჩვენი ხელისუფალნი დათანხმდნენ ერაყთან დადებული ყველა კონტრაქტის შესრულებას. ისინი შესრულდება კონფლიქტის დამთავრების შემდეგ, სხვა შემთხვევაში მთავრობა ბრაზილიის ფირმების მაგივრად გადაიხდის საუპიროს.

მოლაპარაკება გადაიდო

ლუანდა. ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და ოპოზიციურ დაჯგუფება უნიტას შორის პირდაპირი მოლაპარაკების მეხუთე რაუნდი უნიტას თხოვნით 6-დან 18 ნოემბრისთვის გადაიტანეს. ამას იუწყება „ზენიტი „ეურნალ დი ანგოლა“.

დაჯგუფების წარმომადგენლებმა თავისი თხოვნა იმ დოკუმენტების წინასწარი საგულდაგულო შესწავლის აუცილებლობით დაასაბუთეს, რომლებიც შუამავლის როლში მყოფმა პორტუგალიამ ორივე მხარის წინადადებების გათვალისწინებით შეიმუშავა. წინა რაუნდზე მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად ეს დოკუმენტები, რომლებიც მოწესრიგების პოლიტიკურ პრინციპებს, ცეცხლის შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შეთანხმების ხელმოწერას ეხება, მომავალ შეხვედრაზე უნდა განიხილონ.

გაზეთის აზრით, მოლაპარაკების გადადება განაპირობა უნიტას ლიდერებისთვის „სრულიად მოულოდნელმა“ ბპლა - შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებამ 1991 წლის პირველ სამ თვეში ანგოლაში მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების შესახებ.

საგამოფენო დარბაზებში

მხატვრის სახლში ფერწერის შემოქმედებითი სახელოსნოს შექმნა ერთი კონკრეტული პრობლემის დამუშავებას — თემატურ სურათზე შემოქმედებითს მუშაობას ისახავდა მიზნად. ამ სახელოსნოს დაარსების ინიციატორები იყვნენ თემო გოცაძე და ლეგან ლაღიძე. მხატვრები ორი წლის ვადით მუშაობენ აქ და მერე იწყება ხოლმე მათი სადიპლომო გამოფენები. ამის შედეგად მოსკოვში, „მზიურში“, გაიმართა მხატვართა პირველი ჯგუფის გამოფენა, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა წილად. მხატვრებს ძალზე სერიოზული დამოკიდებულება აქვთ ფერწერისადმი.

არსებობის ხუთი წლის მანძილზე უკვე მოეწყო სახელოსნოს მხატვართა რამდენიმე შერჩევითი გამოფენა. შემოქმედებით სახელოსნოს უკვე ჩამოყალიბებული საკუთარი იერსახე აქვს.

ამ ხნის განმავლობაში ნაწილობრივ შეიცვალა სახელოსნოს წევრთა შემადგენლობა. ამჟამად ოთხი მხატვარი მუშაობს: შალვა მატუაშვილი, ნოდარ ბადურაშვილი, მერაბ აბრამიშვილი და ამირან კუპრავა, რომელთა პერსონალური გამოფენაც ამ დღეებში გაიხსნა მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში.

სახელოსნოში დაარსების დღიდან მუშაობს და ორი წელია ხელმძღვანელობს **შალვა მატუაშვილი.** აქ გატარებული დრო მისი მხატვრული პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებითი ძიების წლებია. მისი სურათები უჩვეულო, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებათა კომბინაციებზეა აგებული. ყოველი ნახატის სათაური აღსავსეა ჭარბი ემოციური მუხტით.

სამე გვაქვს მხატვართან, რომელიც სამყაროს აღქმის მეტად თავისებური, ორიგინალური უნარით არის დაჯილდოებული. იგი ჩვენთვის ცნობილ მოვლენას თუ საგანს უჩვეულო სამოსელით მოსავს, საკუთარი ხედვით მიაქვს მაყურებელთან და ბოლომდე ინარჩუნებს განცდის მთლიანობას.

შალვა მატუაშვილის ხელოვნება ერთი მთლიანი სულიერი მდგომარეობითაა გამსჭვალული, რომლის საჩვენებლად იგი საკუთარ კონცეფციებს გვთავაზობს.

სამყაროს მშვენიერების განცდითაა შექმნილი მისი ყველა ნამუშევარი, მომაჯადოებელი ხიბლი აქვს ცაცხვის ყვავილიდან აფრენილ ფუტკარს, მზით გავარვარებულ ქვაზე გაწოლილ ქვეწარმავალს და, ბოლოს, ადამიანს, რომელიც მუხლმოუხრელად შრომობს.

უბედნიერეს კაცად ჩავთვლიდი თავს, თუ ოდნავ მაინც შევძლებ მის მხილველს დავანახვო ჩემი სულიერი დამოკიდებულება მოვლენის მიმართ, ამბობს მხატვარი.

მნახველის ყურადღებას იპყრობს შალვა მატუაშვილის „ლალი“, „მარგალიტის ბადე“, „ფერადოვანი მღვიმე“, „დიდი ლარნაკი“, „უჩვეულო მეჯლისი“, „ადამიანები“, „მისტერია“, „და ლიკლიგებდა ტბა ნესვისებრი“.

მხატვრის დამოკიდებულება ფერთან უალრესად სუბიექტურია — შესანიშნავად ფლობს დიაპაზონს და სწორედ მის კომპოზიციასთან შეთანხმებით აზუსტებს ფორმებს.

შალვა მატუაშვილი სამყაროს ფერწერულად აღქმის განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული. ფერწერა მისი ყველა შემოქმედებითი ძიების თემატური — კომპოზიციურ თუ პლასტიკურ ძიებათა სათავეა. მისი ნამუშევრები გამოირჩევა სინატიფით, მუქი, დაბინდული კომპოზიციებით, კაშკაშა სურათებით, ოქროსფერი გამით, ფაქიზი, ტონალური ფერწერით.

მხატვრობის რელიგიურობას, მარადიულ ღირებულებათა მძიებისა და მატერიალური სამყაროს მიღმა სულიერის აღმოჩენის სურვილი განსაზღვრავს **მერაბ აბრამიშვილის** მხატვრობას.

რა თემასაც უნდა მიმართავდეს მხატვარი, რელიგიური სიუჟეტი იქნება ეს, ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულება თუ ნატურმორტი, ყველგან იგრძნობა ღვთისმოშიშობა. ამიტომ, შემთხვევითი არ არის მის შემოქმედებაში იმ თემების მნიშვნელობა, რომლებიც თავგანწირვის გზით სულიერი ამაღლების იდეას უკავშირდება. ეს თემა განსხვავებული ემოციური ელერადობით გადადის სურათიდან სურათში და ყველაზე აქტუალურია მხატვრისთვის.

შთამბეჭდავი და ამაღელვებელი

რან კუპრავა, რომელთა პერსონალური გამოფენაც ამ დღეებში გაიხსნა მხატვრის სახლის საგამოფენო დარბაზში.

სახელოსნოში დაარსების დღიდან მუშაობს და ორი წელია ხელმძღვანელობს **შალვა მატუაშვილი.** აქ გატარებული დრო მისი მხატვრული პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებითი ძიების წლებია. მისი სურათები უჩვეულო, ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებათა კომბინაციებზეა აგებული. ყოველი ნახატის სათაური აღსავსეა ჭარბი ემოციური მუხტით.

სამე გვაქვს მხატვართან, რომელიც სამყაროს აღქმის მეტად თავისებური, ორიგინალური უნარით არის დაჯილდოებული. იგი ჩვენთვის ცნობილ მოვლენას თუ საგანს უჩვეულო სამოსელით მოსავს, საკუთარი ხედვით მიაქვს მაყურებელთან და ბოლომდე ინარჩუნებს განცდის მთლიანობას.

შალვა მატუაშვილის ხელოვნება ერთი მთლიანი სულიერი მდგომარეობითაა გამსჭვალული, რომლის საჩვენებლად იგი საკუთარ კონცეფციებს გვთავაზობს.

სამყაროს მშვენიერების განცდითაა შექმნილი მისი ყველა ნამუშევარი, მომაჯადოებელი ხიბლი აქვს ცაცხვის ყვავილიდან აფრენილ ფუტკარს, მზით გავარვარებულ ქვაზე გაწოლილ ქვეწარმავალს და, ბოლოს, ადამიანს, რომელიც მუხლმოუხრელად შრომობს.

უბედნიერეს კაცად ჩავთვლიდი თავს, თუ ოდნავ მაინც შევძლებ მის მხილველს დავანახვო ჩემი სულიერი დამოკიდებულება მოვლენის მიმართ, ამბობს მხატვარი.

მნახველის ყურადღებას იპყრობს შალვა მატუაშვილის „ლალი“, „მარგალიტის ბადე“, „ფერადოვანი მღვიმე“, „დიდი ლარნაკი“, „უჩვეულო მეჯლისი“, „ადამიანები“, „მისტერია“, „და ლიკლიგებდა ტბა ნესვისებრი“.

მხატვრის დამოკიდებულება ფერთან უალრესად სუბიექტურია — შესანიშნავად ფლობს დიაპაზონს და სწორედ მის კომპოზიციასთან შეთანხმებით აზუსტებს ფორმებს.

შალვა მატუაშვილი სამყაროს

თავისი შემოქმედების ძირითადი პრინციპებით მერაბ აბრამიშვილის მხატვრობა შუა საუკუნეების ქართული ფერწერის ტრადიციებს განაგრძობს. იგი ასეთ ნამუშევრებში ინარჩუნებს საკუთარ ინდივიდუალობას, თემის გადმოცემას, ინდივიდიალურ მანერას, შესრულების იმ სტილს, რომელიც თანამედროვე მხატვრის პოზიციიდან, მისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს. მხატვარი კარგად ახერხებს მშვენიერების ნიშნით აღბეჭდოს და დეკორატიულ ხატოვნებამდე აიყვანოს ესა თუ ის გამოსახულება. მხატვრის შემოქმედება სტილის თვითმყოფადობით გამოირჩევა, იგი თავისებურად აგებს სურათების კომპოზიციას, რომელიც დეკორატიულობით ხასიათდება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი სამი ნამუშევარი: „შავლეგო“, „პიანინო“ და „საიდუმლო სერობა“.

მერაბ აბრამიშვილი თავისი შემოქმედებით ქართულ ხელოვნებას უბრუნებს მის ორგანულ ნაწილს — სასულიერო მხატვრობას. იგი სუფეთესო ტრადიციებს გამგრძელებლად გვევლინება და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ამ საქმეში.

ნოდარ ბადურაშვილი ლირიკულ-პოეტური ინტონაციის მხატვარია, გამოირჩევა მდიდარი ფანტაზიითა და ახოვნებით, მისი ნამუშევრები მაყურებლისაგან იმგვარ დამოკიდებულებას მოითხოვს, როგორსაც ზღაპარი, იგავი ან პოეზია. მისი შემოქმედება სინამდვილისა და ფანტაზიის ისეთი ნაზავია, როდესაც მთლიანად იცვლება მოვლენების ბუნებრივი და ლოგიკური თანმიმდევრობა. მის ნახატებს თან ახლავს ზღაპრული და სადღესასწაულო იერი, იგრძნობა ხალისიანი განწყობილება, ფეთქებადი სიხარულის განცდა. ჩანს მხატვრის სურვილი დღესასწაულად გადააქციოს ჩვეულებრივი, ყოფითი სიუეტები, ამაღლებული და საზეიმო სახე მიანიჭოს ამა თუ იმ სცენას. ამით აიხსნება მის სურათებში ყვავილების თაიგულების ჭოდვევება, მუსიკალური ინსტრუმენტების სიხშირე, ტანსამოსის თავისებურება, მისთვის უველაზე საყვარელი მოტივი მუსიკოსების პორტრეტებია, ხშირად ძველებური საკრავებით ხელში, ასეთია „მუსიკოსები“, „სიმღერა“, „ჯან-ბენტი“ და სხვანი, სადაც მხატვარი ახერხებს პლასტიკური გამოსახველობითა და ფერადოვანი რიტმულობით გახსნას თემა, შექმნას მელოდიურობის შთაბეჭდილება.

ნოდარ ბადურაშვილი შეგნებულად ამარტივებს ფორმას, ცდილობს იმგვარი განწყობილება შექმნას, როგორიც ბავშვის ნახატებს ახასიათებს და ეს ცდა ყოველთვის გამომდინარეობს მისი შინაგანი მოთხოვნილებიდან: დაგვიბრუნოს ბავშვობისდროინდელი განცდები, ასახოს სამყარო იმგვარად, როგორც მას ბავშვი აღიქვამს.

ფერი ქმნის მისი სურათების ემოციურ ეფექტს, ოქროსფერი ზეცა მძიმე ფარდასავით ეშვება, სურათების სიბრტყეზე და მასზე ჰკიდია მნათობი, ზოლო ყვავილების თაიგული ორნამენტივით იშლება, ცეცხლის ალივით იფრქვევა ტილოს ზედაპირზე.

ფერწერა ნოდარ ბადურაშვილის შემოქმედებითი ბუნების მხოლოდ ერთი მხარეა. მასში ხილული სახითაა გამოვლინილი მისი ლექსებისა და ზღაპრების მხატვრული სამყარო.

სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ **ამირან კუპრავა** ფერწერის შემოქმედებით სახელოსნოში მოვიდა. ბუნებასთან მისმა უშუალო კავშირმა შექმნა მთლიანად მხატვრის დამოკიდებულება ფერწერაში. სწორედ სახელოსნოში ყალიბდება მისი შემოქმედების იერსახე, იკვეთება სურათების თემატური ქარგა, იხვეწება საშემრულებლო ტექნიკა. მის სურათებში ყველგან იგრძნობა ძიების პროცესი, რომელიც ამირან კუპრავას შემოქმედებას მისთვის სასურველ გზაზე წარმართავს. მხატვარი ბევრს მუშაობს როგორც ცალკეულ სურათზე, ასევე დეტალზე, შეიმჩნევა აშკარა ცვლილება სტილისტური ენისა, თხრობით-სიუჟეტური ხასიათის სურათებიდან იგი თანდათან გადადის უფრო განზოგადებული ტიპის კომპოზიციებზე. მის ინდივიდუალურ დახვეწას ხელს უწყობს მრავალი ეტიუდის შესრულება სურათისათვის. ნამუშევრები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებიან.

ამირან კუპრავას ნახატები რელიგიურ-მითოლოგიური ხასიათის სიუჟეტებზეა აგებული. მის ნათელ სურათებში ჭარბობს ქარვისფერი. მხატვრის უდიდესი სურვილია ნამუშევრებს მიეცეს ფერწერული დატვირთვა.

— აკადემიას რომ ამთავრებ, ბევრს ჰგონია, მხატვარი ხარ, სინამდვილეში მხატვარი მერე ხდები, როცა პრაქტიკულად იღვწი, — ამბობს ამირან კუპრავა.

მის დღევანდელ ნამუშევრებს ასაზრდოებს ქართული ფრესკები. ყველაზე დიდი მასტიმულირებელი მისთვის აღმოჩნდა ყინწვისის ანგელოზი. იგი დიდ ძალას მატებს შემოქმედებითს მუშაობაში.

ფერწერულ-ფორმისეულ ძიებათა ინდივიდუალობით გამოირჩევა ნამუშევრები, „წაჰხუროობა“, „მზის ჩასვლა“, „მედეა“, „ორსულთა ბღილი“, მხატვრული დამაჯერებლობით არის გაცხადებული „დედა“ და „სალომე“.

ფერწერულ ძებნაში მისმა პალიტრამ თვალსაჩინოდ იცვალა სახე და გახდა უფრო ნათელი, დახვეწილი, სურათების კოლორიტული გამა ტონალური გადასვლებით გამდიდრდა, მისი ნახატებისათვის დამახასიათებელი მუქადან ნათელი ფერისაკენ სწრაფვა. ფერისადმი დამოკიდებულებამ და ფორმის გამომსახვითობის გაძლიერებამ კიდევ უფრო მეტი დეკორატიულობა მიანიჭა ამირან კუპრავას ნამუშევრებს.

მხატვრების შემოქმედებაში ტრადიციულობის აღორძინების ტენდენცია ფერწერისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით ხასიათდება.

იზა ჯაფვაძე.

ჩონგური საქართველოა... ჯავარ ლომაძის ფოტო.

მედიცინა გვკარნახობს

საკითხი არ ეხება პროდუქტების დეფიციტს, არც მათი ნიტრატებით, სხვადასხვა ზხამქიმიკატებით გაჯეჯილობას, რომლებიც ყოველგვარი კანონზომიერების გარეშე გულუხვად გამოიყენება სოფლის მეურნეობაში და არცთუ იაფად იყიდება. ყოველი ახალი მოსავალი ახალი შხამია. ეს საკითხი კი დაყოვნებას ვერ ითმენს. ჩვენი სპეციალისტებისგან ველით საკითხის რადიკალურად შესწავლასა და ღონისძიებათა დასახვას, რათა ახალი მოსავალი გვეიმედებოდეს.

ცნობილია, რომ უსწორო კვება მძიმე დაავადებებს იწვევს, სწორი კვებით კი გარანტირებულია დაავადებათა პროფილაქტიკა და განკურნებაც.

ყოფა-ცხოვრებაში შრომის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვამ ბოლო ათეულ წლებში იქამდე მიგვიყვანა, რომ ადამიანი, ერთი მხრივ, ნაკლებ ენერგიას ხარჯავს, მეორე მხრივ ზარდება მისი ნერგული დაძაბულობა, გონებრივი დაჭაბუკება.

ამიტომ ადამიანის საკვები, ცალკე კალორიული უნდა იყოს, მაგრამ უხვად შეიცავდეს ბიოლოგიურად აქტიურ საკვებ ნივთიერებებს: ვიტამინებს, ფერმენტებს, მინერალურ მარილებს და ა. შ., რომლითაც მდიდარია უმი სასურსათო პროდუქტები.

ინტერესმოკლებული არ არის უმი სასურსათო პროდუქტების გამოყენების ტექნოლოგიური გაზრდა, რათა საკვების ბუნებრივი შემადგენლობიდან ადამიანმა მაქსიმალური რაოდენობით მიიღოს სასარგებლო ნივთიერებანი. როგორ დავამუშაოთ იგი?

ბევრი რამ კეთდება ამ დარგში როგორც ჩვენს კვეყანაში, ისე საზღვარგარეთ, ამ მხრივ ყურადსაღებია საზღვარგარეთელ მეცნიერთა შრომები მათი ცდები და შედეგები.

სასურსათო პროდუქტების უმი სახით მიღების თეორია და პრაქტიკა საკმაოდ სრულყოფილად აქვს დამუშავებული შვეიცარიელ ექიმ-დიეტოლოგს დოქტორ ბირხერ-ბენნერს და მის თანამიმდევართ. ცდებისა და დაკვირვებათა შედეგად ისინი მიზანშეწონილად თვლიან ადამიანის საზრდოობას მცენარეული, უმი პროდუქტებით, რადგან მცენარე მზის ენერგიის აკუმულატორია და იგი მზის სხივებით გარდაქმნის წყალს, ნახშირორჟანგს ჰაერის შემადგენლობიდან და ნიადაგში მყოფ არაორგანულ ნივთიერებებს რთულ ორგანულ ნაერთებად. ამავე დროს მზის სხივების ენერგია გარდაიქმნება ქიმიური ბმის ენერგიად.

ცოცხალი უჯრედი ასხივებს ულტრაიისფერ სხივებს. გამოსხივება მით უფრო ინტენსიურია, რაც მეტად ახალია უჯრედი. თბური დამუშავებისთანავე კი გამოსხივება ქრება, ე. ი. ბიოფიზიკური გაგებით ახალი, უმი საზრდო მეტ ენერგიას შეიცავს თბურ დამუშავებამდე. სასურსათო პროდუქტების თბური დამუშავება იწვევს მათ არასასურველ მეცვლას ყუათიანობის თვალსაზრისით, ნაწილობრივ ან მთლიანად ეკარგება ფერმენტი, ბიოკომპლექსს შლის ცალკეულ მასაზრდოებელ კომპონენტებად: ცილებად, ცხიმებად, ნახშირწყლებად, მიკროელემენტებად. ძლიერ ძროხის ხორცი — 133, ძროხის რძე 65, თხის რძე—68,34, არაყანი — 248, კარაქი — 787,4, ხაჭო—87, ლობიო—289, კარტოფილი—87,64, კომბოსტო—28,88, პამიდორი—17,44, კიტრი—11,17 კალორიის და ა. შ.

დოქტორ ბირხერ-ბენნერი არაერთი ექსპერიმენტით ადასტურებს რომ უმი მცენარეული საზრდო დაამყაროფილებს ადამიანის მოთხოვნილებას, თუ მას დაემატება უმი ცხოველური წარმოშობის პროდუქტებიც: რძე, მისი ნაწარმი (მაწონი, არაყანი, ხაჭო, კარაქი), თაფლი, კვერცხი და ასე შემდეგ.

საწინდარი

ქვეითდება მათი ფიზიოლოგიური მოქმედება. სითბოს გაკლებით იცვლება თვით საკვები კომპონენტებიც. 150 გრადუსს ცელსიუსზე ზოგი ცხიმი იეანგება და ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებებს წარმოქმნის, რძის დუღილით მასში შეძავალ, ორგანიზმისათვის ადვილად ასათვისებელი კალციუმის ხსნადი მარილები უხსნადი ხდება. ვიტამინები იშლება ნაწილობრივ ან მთლიანად. ფიტოციდები კარგავენ ბაქტერიოციდურ და ანტისეპტიკურ მოქმედების უნარს. აქროლადი ორომატული ნივთიერებები ქროლდება.

ადამიანის ორგანიზმში სისტლძარღვთა დახმარებით უჯრედამდე მასაზრდოებელი ნივთიერებების შედწევა, ასიმილაცია მის ზრდა-განვითარებას ეხმარება. ერთდროულად მიდის პროცესი: შეღწეული საზრდოს შეთვისება, ძველი წვა, დაშლა, ენერგიის გამოყოფა, დისიმილაცია. ეს პროცესები ნივთიერებათა ცვლის პროცესებია.

ორგანიზმში წარმოქმნილი სითბო კალორიებით იზომება: დიდი კალორია სითბოს ის რაოდენობაა, რომელიც ერთ კილოგრამ წყალს ერთი გრადუს ცელსიუსით გაათბობს. მაგალითად, ერთი გრამი, ცილოვანი ნივთიერება იძლევა 4,1 კალორიას, ერთი გრამი ცხიმი—9,3, საშუალო ხარისხის ძროხა 65, თხა 87, ლობიო 87, ბოსტნეული 87, ბოსტნეულ-ხორცეული 87, ... 87, ... 87, ...